# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/51

ქ. თბილისი 18 თებერვალი 2020

**სადოქტორო პროგრამების შესაბამისი ვაკანსიების ცვლილებების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 თებერვლის №01-05-02/?? ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეიცვალოს სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 15 იანვრის №01-05-04/18 დადგენილებით მიღებული სადოქტორო პროგრამების შესაბამისი ვაკანსიები და გაიზარდოს დოქტორანტურაში ჩასარიცხ კანდიდატთა რაოდენობა შემდეგნაირად:
   **სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი,** სადოქტორო პროგრამა საერთაშორისო ურთიერთობები –20;
   **ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი,** სადოქტორო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება – 11;
   **საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი,** სადოქტორო პროგრამა სოციალური მეცნიერებები – 16.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ი. კუტუბიძე**